საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამილახვარი დემეტრე

ამილახვარი დემეტრე, XVIII ს. 50–60-იანი წლები პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი. გივი ამილახვრის ბიძაშვილი და თანამებრძოლი, ალექსანდრე ამილახვრის მამა.

ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე ბანაკის ერთ-ერთი მეთაური. თავდაპირველად თეიმურაზ II და ერეკლე II ანგარიშს უწევდნენ ა-ს და დაუმოყვრდნენ კიდეც; თეიმურაზ II-ის ასული ელისაბედი ცოლად შერთეს ა-ის ვაჟს გიორგის. ერეკლე II-მ დაარღვია ეს ქორწინება და ა. *პოლიტ.* ასპარეზს ჩამოაცილა.

1765 ა. მონაწილეობდა პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში, მეთაურობდა ე. წ. „მარკოზაშვილის დარბაზის“ მემარჯვენე ფრთას. შეთქმულების დამარცხების შემდეგ სახელმწიფო დარბაზმა ერეკლე II-ის თხოვნით საჯაროდ გაასამართლა პაატა ბატონიშვილის თანამოაზრენი, ა-ს ჩამოართვა მამულები, ქონება და „სახალხო შერცხვენით“ დასაჯა. ფიზ. სასჯელისაგან დაინდეს ავადმოყოფობის გამო.

გარდაიცვალა XVIII ს. 80-იან წლებში.

ლიტ.: [კ ა რ ა ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი] ც ხ ვ ი ლ ო ე ლ ი პ., მეფე ერეკლე და დემეტრე ამილახვარი, «მოამბე», 1896, № 1, განყ. 2.

ლ. ტუხაშვილი